ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის აპრილის 16.	№ 7 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

მუხ. 85. 1930 წლის საგაზაფხულო კამპანიისათვის ბამბის თესვის გეგმის აღსრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 86. ისეთი პირობების შექმნის შესახებ, რომ I-ლ და მე-II საფეხურის სკოლები ნამდვილად ხელმისაწვდენი იყოს მუშათა, კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შვილებისათვის, და არამშრომელთა შვილების მიღების შესახებ.

„ 87. „სსრ კავშირის საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის თვიდან აცილების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წლის მარტის 22-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

„ 88. პირადი რეწვობის დაბეგრისათვის სასელმწიფო სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთების დწესების შეხახებ.

„ 89. 1929 წელს ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1907 წ. დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევისა და სახელმწიფო ორგანოთა მიერ ამ გაწვევაში უშუალო მონაწილეობისათვის თავიანთი მოვალეობის აღსრულების შესახებ.

„ 90. ხე-ტყის და შეშის დამზადებისა და მერქანის ჩამოტივტივების საქმეში წარმოებული შეშაობის ჩაშლასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

„ 91. წყალთა ადგილობრივი ადმინისტრაციების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოებისათვის დაქვემდებარების შესახებ.

„ 92. ა/კსფსრ-ში იმ საზოგადოებათა და კავშირთა დაარსებისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ.

„ 93. „საბავშვო ბაგათა, საბავშვო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა მიერ მუშა-ქალების ბავშვებისათვის გასაწევი მომსახურეობის გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 94. წყალში დალუპვისაგან გადაბრჩენ საზოგადოებათა მოქმედების განვითარებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

„ 95. ქალაქის სოფლთან დაკავშირების საზოგადოებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

მუხ. 96. „რკინის გზით და წყლის ტრანსპორტით პურეული ტვირთის გადაზიდვის ეკონომიურად მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ კომისართა საბჭოს 1929 წლის ოქტომბრის 18-ის დადგენილების მოქმედების შეჩერების შესახებ.

„ 97. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში დროებით სამუშაოდ გაგზავნილ მოანგარიშე-მომუშავეთა შეღავათების შესახებ.

დადგენილება № 226 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

85. 1930 წლის საგაზაფხულო კამპანიისათვის ბამბის თესვის გეგმის აღსრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ *).

1930 წლის საგაზაფხულო კამპანიისათვის ბამბის თესვის გეგმის აღსრულების სრული უზრუნველყოფის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც საკონტრაქტაციო ხელშეკრულობას სდებს ბამბის მთესველებთან, მიიღოს სახელმძღვანელოდ, რომ ხელშეკრულობა აუცილებლად უნდა დაიდოს კოლექტიურ მეურნეობებთან, მარტივ შენაერთებთან, სოფლის საზოგადოებებთან და აგრეთვე იმ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებთან, რომლებიც შენაერთებში არ შესულან.

შენიშვნა. საკონტრაქტაციო ხელშეკრულობა შეიძლება დაიდოს აგრეთვე ისეთ შემლებულ საგლეხო მეურნეობასთან, რომელიც მოკლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათებს, რაც მინიშებული აქვს საშუალო მეურნეობებს, ხოლო, ამასთანავე, დაცული უნდა იქნეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულობების დადებისათვის და ავანსირებისათვის დაწესებული დიფერენცირებული ნორმა.

2. დაწესებულ იქნეს, რომ ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ინდივიდუალური წესით იხდის, მოვალეა დათესოს ბამბა მთლად იმ მიწის ფართობზე, რაც ბამბისათვის ვარგა და რაც უზრუნველყოფილია ზაფხულში სარწყავი წყლით; ამასთანავე, ფართობის როდენობას განსაზღვრავს სასოფლო ყრილობა და დაამტკიცებს სასოფლო საბჭო.

3. სასოფლო საბჭო განსაზღვრავს არა მარტო იმ ფართობის ოდენობას, რაც აუცილებლად უნდა დაითესოს, არამედ დათესვის ვადასაც; ამასთანავე, იმ მეურნეობას, რომელიც დაარღვევს დათესვის ვადას და რაოდენობას, ჩამოერთმევა მიწის სარგებლობის უფლება და მის სარგებლობაში ქონებული მიწა გადაეცემა განსაზოგადოებულ სექტორს (უახლოეს საბჭოთა მეურნეობას, კო-

---

*) „ზარია ვოსტოკა“-ს 63 №-ში 1930 წ. მარტის 10-ს გამოქვეყნებული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 7-ის დადგენილება „1930 წლის საგაზაფხულო კამპანიისათვის ბამბის თესვის გეგმის აღსრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“— შეცვლილია ამა დადგენილებით.

ლექტიურ მეურნეობას, კოოპერატიულ შენაერთს ან ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ჯგუფს).

4. მიენდოს მებამბეობის მთავარი კომიტეტის ამიერკავკასიის განყოფილებას დაავალოს მებამბეობის ამხანაგობათ მისცენ ხოლმე მე-2 მუხლში აღნიშნულ მეურნეობათ დასათესი თესლი უწყებული რაიონისათვის მიღებული ნორმების მიხედვით, ანგარიშის ნაღდად გასწორებით ან ნისიად მოსავლის რეალიზაციამდე.

5. აღნიშნული მეურნეობანი მოვალენი არიან ჩაბარონ მებამბეობის ამხანაგობებს ნედლი ბამბის მთელი მოსავალი, რაც მოვა მთლად მათ მიერ დათესილ ფართობზე, 1930 წლის სეზონისათვის მთავრობის მიერ დადგენილ ფასად.

შენიშვნა. მიწების სათანადო რეგისტრაცია და აღნიშნული მეურნეობების მიერ თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევა დაეკისრება სასოფლო საბჭოებს.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ბამბის ნათესები დაბეგროს მემინდვრეობის შემოსავლიანობის ერთიაორად შემცირებული ნორმების მიხედვით და ბამბით ნათესი ფართობები ახალ რაიონებში გაანთავისუფლოს გადასახადისაგან ხუთი წლის განმავლობაში.

შენიშვნა 1. ბამბის თესლთბრუნვაში შემავალი იონჯით დათესილი ფართობები განთავისუფლებულ უნდა იქნეს გადასახადისაგან დათესვის პირველ წელს.

შენიშვნა 2. 1929-30 წელთან შედარებით ნამატი ბამბით ნათესი ფართობი განთავისუფლებულ უნდა იქნეს გადასახადისაგან, თუნდაც საერთო ნათესი ფართობი არ გადიდდეს.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის მებამბეობის მთავარი კომიტეტის ამიერკავკასიის განყოფილებას განახორციელონ კოლექტიურ მეურნეობებში ბუდობითი მეთოდით აგროკომპლექსური ღონისძიებანი, იმ პირობით, რომ, ამასთანავე, აუცილებლად მოცულ იქნენ ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობანი, რომლებიც ბუდობითს რაიონში შედიან.

8. ნებადართულ იქნეს დაქირავებული მუშა-ხელის გამოყენება ყველა ინდივიდუალურ მეურნეობაში, სადაც ბამბის ნათესი ფართობი ოცდაათ პროცენტს მაინც შეადგენს, ბამბის მარგვლისა და თოხნის დროის განმავლობაში (ივნისის 1-დან ივლისის 25-მდე) ვადით არა უმეტეს ორმოცდაათი სამუშაო დღისა და ამავე რაოდენობით ბამბის კრეფის დროს (ოქტომბრის 1-დან დეკემბრის 1-მდე).

9. ნება დაერთოს კოლექტიურ მეურნეობებს დაიქირაონ მუშა-ძალა ამა დადგენილების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პერიოდში, როგორც ბამბის მარგვლისა და თოხნის პერიოდში, ისე ნედლი ბამბის კრეფის პერიოდში ვადით არა უმეტეს ოცდახუთი სამუშაო დღისა ბამბის ნათესის ერთ ჰექტარზე თვითეული პერიოდისათვის.

10. იმ მიზნით, რომ მუშაობა რაც შეიძლება ნაყოფიერი იყოს, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ტრაქტორით ხვნა სწარმოებდეს მთლიან მასსივებად.

11. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მისცენ აღნიშნული რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებს—დაავალონ წყალთა ოლქების ყველა უფროსებს, რათა მათ უშუალო აქტიური მონაწილეობა მიიღონ თესვის კამპანიის ჩატარებაში, აცნობონ, თავიანთი ქვედა აპარატებისა და სასოფლო საბჭოების მეშვეობით, ბამბის მთესველთ, რომ შეპირებული მიწის ფართობი უზრუნველყოფილი იქნება წყლით, და გაითვალისწინონ აგრეთვე, რომ საჭიროა მთელი საზაფხულო სარწყავი წყალი, რაც მემინდვრეობის კულტურებისათვის არის დანიშნული, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ბამბის ნათესების მოსარწყავად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ბომბინი.**

1930 წ. მარტის 15.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 232 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

86. ისეთი პირობების შექმნის შესახებ, რომ I-ლი და მე-II საფეხურის სკოლები ნამდვილად ხელმისაწვდენი იყოს მუშათა, კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შვილებისათვის, და არამშრომელთა შვილების მიღების შესახებ.

სათანადო პირობების შექმნა იმისათვის, რათა მასსიური სკოლა მაქსიმალურად ხელმისაწვდენი იყოს მუშათა, კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შვილებისათვის მუდამ წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობის ყურადღებისა და მოთხოვნის საგანს.

ამის მიხედვით საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა სათანადო ორგანოებს ყურადღება მიექციათ მუშებისა, გლეხებისა და მშრომელთა შვილების სკოლაში მიღების საქმისათვის და პირველ რიგში უზრუნველეყოთ მათი მიღება.

მაგრამ რადგანაც მუშებისა, გლეხების ღარიბი ფენებისა და მშრომელთა შვილები მატერიალურად ნაკლებ უზრუნველყოფილი არიან, ბუნებრივია, რომ მოსწავლეთა ამ კატეგორიაში ხშირი იყო მეორწლიანობა და სკოლისაგან ჩამოშორება.

აღნიშნულის გამო, იმ მიზნით, რათა შეიქმნას სათანადო პირობები და I და II საფეხურის სკოლა ნამდვილად ხელმისაწვდენი გახდეს მუშათა, კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შვილებისათვის, საჭიროა ფართოდ განხორციელება ისეთი ღონისძიებებისა, როგორიც არის, მაგალითად, სასტიპენდიო უზრუნველყოფა, ტანსაცმელის, ფეხსაცმელის, სამშენ-სასმელის და სასწავლო წიგნების უფასოდ მიწოდება, სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური დახმარების საქმის ორგანიზაცია, სასკოლო მუშაობის მეთოდების გაუმჯობესება მათი აქტივიზაციის საშუალებით, შრომითი პროცესების შემოღება, სოციალისტური მშენებლობისა და ყოფაცხოვრების მოთხოვნებთან სკოლის შეგუება, მე-II საფეხურის უფროს კონცენტრში პროფესიონალური მომზადების საქმის გაუმჯობესება და სხვ.

ერთიანი შრომის სკოლის ყველა ჯგუფში მუშათა, კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შვილების რიცხვის გადიდების დირექტივების განსავითარებლად—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კოთისარიატებმა მისცეს თავის ადგილობრივ ორგანოებს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა განხორციელებასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სკოლებში პროლეტარული ფუძის ხვედრითი წონის გადიდება.

მაგრამ ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობს იმას, რომ სკოლებიც და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებიც ცდილობენ მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შვილების ხვედრითი წონის გადიდების ამოცანა გადასწყვეტონ სკოლიდან არამშრომელთა შვილების გამორიცხვის საშუალებით. უკანასკნელ დროს მოსწავლეთა პირაღებითი გამორიცხვა წმენდის წესით ზოგჯერ საშუალო გლეხთა, შინამრეწველთა და ხელოსანთა შვილებზედაც ვრცელდება. გამორიცხვა, რაც ამჟამად მასსიურ ხასიათს იღებს, ისეთ ბავშვებზედაც კი ვრცელდება, რომელნიც მძიმე მატერიალურ პირობებში იმყოფებიან, რის გამოც ისინი ხშირად თითქმის სრულიად უპატრონოდ რჩებიან.

სხვადასხვა მტრული კლასობრივი გავლენა, რასაკვირველია, თავს იჩენს სკოლებშიაც. კულაკები და ქალაკები კაპიტალისტური ელემენტები, მოსწავლეთა მეშვეობით და ზოგჯერ პროლეტარიატისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ცალკეული პედაგოგების მეშვეობით, ცდილობენ სკოლაში თავისი გამხრწნელი გავლენა შეიტანონ. ყოველგვარ ასეთ ცდას უნდა დაუპირისპირდეს საბჭოთა მასწავლებლების ენერგიული საპედაგოგო და საზოგადოებრივი მუშაობა, პიონერთა რაზმებისა და კომკავშირის მტკიცე მოქმედება და სხვ.. ბოლოს, სახალხო განათლების ორგანოებს საშუალება აქვთ განდევნონ სკოლიდან დეზორგანიზატორული, ხულიგნური ელემენტები, რომელნიც კონტრევოლიუციონერ გამოსელებს მიმართავენ, მაგრამ I და II საფეხურის სკოლიდან ბავშვების გამორიცხვა მარტოოდენ მათი სოციალური შთამომავლობის მიხედვით ან იმის მიხედვით, რომ მოსწავლის მშობლებს თუ მეურვეს საარჩევნო უფლება არა აქვთ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლებლად მიაჩნია. ეს განსაკუთრებით მიუღებელი და გაუმართლებელია სწორედ დღეს, როდესაც კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რაც სოციალისტური შეტევისა და წარმატებით გაგვითარებული საბჭოთა აღმშენებლობის შედეგია, ხშირად იწვევს გადაჯგუფებას და ფენებად დაყოფას იმ ოჯახში, რომელიც არაპროლეტარულ კლასობრივ ჯგუფებს ეკუთვნის. ამ დიფერენციაციის დროს მოზარდი ახალგაზრდობა ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირდაპირდება ოჯახს იდეურად, ზოგჯერ იგი ყოფაცხოვრების მხრივაც შორდება ამ ოჯახს, რომელიც პროლეტარიატისადმი კლასობრივად და იდეოლოგიურად მტრულად განწყობილია, და სკოლაში პოულობს დასაყრდენს თავისი რეგოლიუციონური შეხედულებებისათვის და ძველი ოჯახის გაყლენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

სოციალისტური მშენებლობის მძლავრი ზრდა, კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია და ყოფაცხოვრების მიახლოება უკლასო საზოგადოების პირობებისადმი—საყოველთაო სწავლების იდეას უღირესად აქტუალური საკითხების რიგში აქცევს და მოითხოვს მასსიური დაბალი და საშუალო სკოლისაგან მთლად უმცროსი ასაკის ბავშვთა აღზრდას კომუნისტური მსოფლმხედველობის შესაბამისად.

გამორიცხვისა და წმენდის პრაქტიკა მხოლოდ სარგებლობას მოუტანს მტრულად განწყობილ კლასობრივ ელემენტებს, რომელნიც ცდილობენ შეაჩერონ პროცესი მთელი ახალგაზრდობის გადასვლისა (კომკავშირის, პიონერთა მოძრაობის და სხვ. გავლენით) სოციალიზმის მშენებელი პროლეტარიატის პოზიციაზე.

სკოლა, საპედაგოგო კოლექტივი და ბავშვთა ორგანიზაცია, რომელიც ბრძოლის მექანიკურ საშუალებებს მიმართავს, ცხადია, ვერ დასძლევს ბავშვთა მთელი მასსის კომუნისტური მიმართულებით აღზრდის ამოცანას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაეკალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მისცენ აღნიშნული რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს:

1) მაქსიმალურად გაამლიერონ მუშაობა, რათა შეიქმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ სკოლა, სხვთა შორის—უფროსი ჯგუფებიც, ნამდვილად ხელმისაწვდომი იყოს მუშათა, კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შვილებისათვის;

2) სკოლაში მიღებისა და თავისუფალი ადგილების შევსების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ მშრომელთა შვილების პირველ რიგში მიღების წესები;

3) დაუყოვნებლივ შესწყვიტონ I და II საფეხურის სკოლებში მოსწავლეთა ყოველგვარი წმენდა სოციალური ნიშნის მიხედვით;

4) იხმარონ ღონისძიება, რსთა სოციალური ნიშნის მიხედვით გამორიცხულნი აღდგენილ იქნენ;

5) აკრძალონ არამშრომელთა წრიდან გამოსულ მოსწავლეთა უფლების შეზღუდვა სხვა მოსწავლეებთან შედარებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმასრ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. მარტის 25.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 91 №-ში 1930 წ. აპრილის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

87. „სსრ კავშირის საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წლის მარტის 22-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაუყოვნებლივ იხმარონ სათანადო ღონისძიებანი, რათა განხორციელებულ იქნეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წლის მარტის 22-ის დადგენილება „სსრ კავშირის საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების შესახებ“;

ბ) საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების შესამოწმებლად მოაწყონ სპეციალური კომისიები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან, ხოლო იქ, სადაც საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი მოწყობილი არ არის, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან;

გ) დააკისრონ საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების უშუალო შემოწმება საოლქო და სამაზრო კომისიებს, ხოლო რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კომისიებს—საეროო ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა სიების შესამოწმებლად წარმოებული მუშაობისათვის;

დ) „ბ“ ლიტერში აღნიშნული კომისიები მოაწყონ იმ წესით და იმ შედგენილობით, რაც განსაზღვრულია ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიებისათვის ამიერკავკასიიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის დეკემბრის 5-ის დადგენილებაში „1928 წ. საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 22 №-ი, მუხ. 244);

ე) იმ ოლქებსა და მაზრებში, სადაც უნდა მოხდეს სასოფლო საბჭოების ვადამდე არჩევა, სიების შემმოწმებელი კომისიების ფუნქციები დააკისრონ საოლქო და სამაზრო საარჩევნო კომისიებს;

ვ) მოქალაქეთა მიერ საარჩევნო უფლების უკანონოდ ჩამორთმევის შესახებ შეტანილი განცხადებების განსახილველად და აგრეთვე საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების შესამოწმებლად წარმოებული მუშაობა ყველა ინსტანციაში, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათთან არსებული შემმოწმებელი კომისიებითურთ, დაამთავრონ არა უგვიანეს 1930 წლის ივნისის 10-სა და ამის შემდეგ

ერთი კვირის ვადაზე წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოხსენება აღნიშნული მუშაობის შედეგების შესახებ.

2. საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების შემმოწმებელი ცენტრალური და ადგილობრივი კომისიების მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მოეწყოს ამიერკავკასიის საარჩევნო შემმოწმებელი კომისია.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. მარტის 28.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 87 №-ში 1930 წ. აპრილის 4-ს.

დადგენილება № 233 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

88. პირადი რეწაობის დაბეგრისათვის სახელმწიფო სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთების დაწესების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სარეწაო გადასახადის დებულების (სსრ კავშირის კან. კრ. 1928 წ. 50 №-ი, მუხ. 443 და 1930 წ. 5 №-ი, მუხ. 53) მე-13 მუხლის საფუძველზე:

1. დაწესებულ იქნეს სახელმწიფო სარეწაო გადასახადის შემდეგი მტკიცე განაკვეთები ა/კსფსრ ტერიტორიაზე პირადი რეწაობის დაბეგრისათვის:

პირადი რეწაობის კატეგორია	განაკვეთი მანეთობით				
	1	2	3	4	5
1	24	20	15	10	6
2	64	52	40	28	16
3	96	78	60	42	24
4	192	156	120	84	48

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ ადგილების შემდეგი განაწილება კლასებად სახელმწიფო სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთით პირადი რეწაობის დაბეგრისათვის:

I. კლასი—ქ. ტფილისი და ბაქო (სარეწაო რაიონებით და გარეთუბნებით);

II. კლასი—ქ. განჯა, ქუთაისი, ბათომი, სოხუმი, ერევანი და ლენინაკანი;

III. კლასი—ქ. აღდამი, ზაქათალა, კუბა, ლენქორანი, ნუხა, სალიანი, გორი და ფოთი;

IV. კლასი—ა/კსფსრ ყველა სხვა ქალაქი და საქალაქო ტიპის დასახლებული ადგილი;

V. კლასი—ა/კსფსრ-ის ყველა სოფელ-ადგილი.

შენიშვნა. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს დაწესონ საქალაქო ტიპის დასახლებული ადგილების ნუსხა.

3. პირადი რეწაობის განრიგების 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტისა და 5, 9 და 14 მუხლების გამონაკლისად ქვემოაღნიშნული საშინამრეწველო და სახელოსნო სარეწაოები დაიბეგრებიან მათთვის დაწესებული მტკიცე განაკვეთის 20%-ით გადიდებული რაოდენობით, ხოლო გადამეტებულ არ უნდა იქნეს მაქსიმალურ-ზღვრული განაკვეთები:

1) ზეინკალი;

2) მეწყალსადენე;

3) მექანიკოსი საკერავი მანქანებისა და ველოსიპედების რემონტის დარგში;

4) საწერი მანქანებისა და ზუსტი სამზომო ხელსაწყოების მექანიკოსი;

5) საწოლების ხელოსანი;

6) მესაათე;

7) მექუდე (აზიური), რომელიც ქუდებს კარაკულისაგან აკეთებს;

8) მექუდე, რომელიც ქუდებს თავისი მასალისაგან აკეთებს;

9) საღებავების წარმოება.

4. 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტის გამონაკლისად შემდეგი საშინამრეწ ელო და სახელოსნო სარეწაოები დაიბეგრებიან მათთვის დაწესებული მტკიცე განაკვეთის 20%-ით გადიდებული რაოდენობით, ხოლო გადამეტებულ არ უნდა იქნეს მაქსიმალურ-ზღვრული განაკვეთები:

1) ავეჯის მკეთებელი;

2) მნიკელებელი;

3) მკერავი;

4) მკერავი ქალი;

5) მეშლაპე ქალი;

6) მეწაღე.

5. სარეწაო გადასახადის ზემოაღნიშნული დებულების პირადი სარეწაოების განრიგების მე-3 შენიშვნის საფუძველზე დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ საშინამრეწველო და სახელოსნო საწარმოთა მოსწავლე შეგირდებისათვის შეგირდობის ზღვრული ასაკი თვრამეტ წლამდე ამ უკანასკნელი წლითურთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ აღნიშნული დადგენილება 1929 წლის ოქტომბრის 1-დან.

7. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 სექტემბრის 3-ის დადგენილება „პირადი რეწაობის დაბეგრისათვის სახელმწიფო სარეწაო გადასახადის მტკიცე განაკვეთების დაწესების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 18 №-ი, მუხ. 193).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. მარტის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 95 №-ში 1930 წ. აპრილის 12-ს.

დადგენილება № 234 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

89. ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1907 წ. დაბადებულ მოქალაქეთა 1929 წელს გაწვევისა და სახელმწიფო ორგანოთა მიერ ამ გაწვევაში უშუალო მონაწილეობისათვის თავიანთი მოვალეობის აღსრულების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. მიექცეს ყველა იმ ორგანოს ყურადღება,—რომელიც ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეთა გაწვევაში სამხედრო სამსახურის გასავლელად,—1929 წლის გაწვევის დროს მათ მუშაობაში შემჩნეულ უმთავრეს ნაკლს; ეს ნაკლი არის შემდეგი:

ა) აღმასრულებელი კომიტეტებისა, პროფესიონალური კავშირებისა და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენელნი რეგულიარულად არ ესწრებოდნენ საგამწვევო კომისიების სხდომებს; მათ მაგიერ სხდომებს ხშირად ესწრებოდნენ სხვა პირები, რაც გავლენას ახდენდა კომისიების მუშაობის მსვლელობასა და ხარისხზე;

ბ) სარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიებს თავის დროზე არ ადგენდნენ ან სულ არ ურდგენდნენ საგამწვევო კომისიებს, რაც აძნელებდა კლასობრივ უტხო ელემენტების გამორკვევას და შესაძლებლად ჰხდიდა მათ შესვლას მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში;

გ) სასოფლო საბჭოებს და სარაიონო (სათემო, სადაირო, საგავარაკო) აღმასრულებელ კომიტეტებს სათანადოდ არ ჰქონდათ დაყენებული შუშაობა გაწვე-

ვის საქმეში, განსაკუთრებით—შეღავათების მქონე პირთა გამორკვევის საქმეში, და თავის საქმიანობას ფორმალურად ეკიდებოდნენ;

დ) სასწავლებლების ადმინისტრაციისა და აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილებების მიერ ზუსტი აღნუსხვის უქონლობის გამო, თავის დროზე არ სწარმოებდა საკითხის აღძვრა მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის გაწვევის ვადის გადადების შესახებ; ეს საკითხი აღიძვრებოდა ხოლმე გაწვევის დამთავრების პერიოდში;

ე) საკითხი იმ სპეციალისტებისათვის გაწვევის ვადის გადადების შესახებ, რომელთა წასვლას მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში შეეძლო ცუდი გავლენა მოეხდინა სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე, აღიძვრებოდა ხოლმე არა მარტო გაწვევის წარმოების პროცესში, არამედ მისი დამთავრების შემდეგაც;

ვ) ზოგიერთი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ცუდად იყო უზრუნველყოფილი გაწვევის ჩატარება, განსაკუთრებით—დამატებითი საგამწვეო კომისიების მუშაობისათვის საჭირო სადგომებით და ინვენტარით;

ზ) ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასაწვევთა შორის და მოსახლეობაში საკმარისი სისრულით არ სწარმოებდა, თანაც ამ მუშაობაში არ იყვნენ ჩაბმულნი პროფესიონალური კავშირები და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები;

თ) საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა გასაწვევთა ევაკუაციას სამკურნალო დაწესებულებებში შესამოწმებლად: მათ არ ეძლეოდათ მიმოსვლის საშუალება ყამირგზებზე.

II. 1908 წ. დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევის მომზადებისა და ჩატარების დროს აღნიშნული ნაკლის გამეორების თავიდან ასაცილებლად—წინადადება მიეცეს:

ა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს:

1. დაავალონ რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს:

ა) მისცენ დირექტივი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათ, სამხედრო კომისარიატებთან ერთად, გაწვევის საქმეში სამუშაოდ დანიშნულ სამოქალაქო ექიმთა საერთო რიცხვიდან თავის დროზე შეარჩიონ უფრო მომზადებული პირები მორიგ გაწვევაში მონაწილეობის მისაღებად და დანიშნონ ეს ექიმები საგამწვეო კომისიებში ერთი თვით ადრე მაინც გაწვევის დაწყებამდე;

ბ) აკრძალონ საგამწვეო კომისიებში სამუშაოდ დანიშნული სამოქალაქო ექიმებისათვის გაწვევის პერიოდში შვებულების მიცემა და მათი მივლინებაში გაგზავნა, როდესაც ამას გაწვევასთან კავშირი არა აქვს, და გაწვევის დროის განმავლობაში გაანთავისუფლონ ეს ექიმები სხვა სამსახურებრივი მოვალეობისაგან;

გ) იხმარონ ღონისძიება, რათა შორეულ ადგილას მომუშავე საგამწვეო კომისიები უზრუნველყოფილ იქნენ სპეციალისტ-ექიმებით;

დ) დააკისრონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს ყველა საგამწვეო კომისიის სადგომის დეზინფექციობა გასაწვევთა გამოცხადების დაწყებამდე და მიღებულთა მორიგი პარატიის გაგზავნის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაავალონ რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს—მისცენ სათანადო დირექტივი სახალხო განათლების საოლქო (სამაზრო) განყოფილებებს და სასწავლებლებს, რათა მათ შემოიღონ სამეცნიერო დარგის მომუშავეთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა სწორე აღნუსხვა და თავის დროზე წარადგინონ მათ შესახებ სახელობითი სიები საოლქო (სამაზრო) საგამწვეო კომისიებში გაწვევის ვადის გადადების გასაფორმებლად.

3. დაავალონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გამოჰყონ საგამწვეო კომისიებისათვის მუდმივი წევრები და მხოლოდ პატივსადებ შემთხვევაში, და ისიც სამხედრო კომისარიატისათვის წინასწარი შეტყობინებით, შესცვალონ ისინი მოადგილეებით (აგრეთვე მუდმივი მოადგალეებით); იზმარონ ღონისძიებანი, რათა ზემოაღნიშნული ორგანოების წარმომადგენლებმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საგამწვეო კომისიების მუშაობაში;

ბ) მისცენ დამატებითს საგამწვეო კომისიებს სათანადო სადგომები, რაც შესაძლებლად გახდის სამედიცინო შემოწმების ნორმალურ პირობებში წარმოებას, და უზრუნველჰყონ ეს სადგომები განსაზღვრული ინვენტარით სამხედრო კომისარიატების განცხადების თანახმად;

გ) აწარმოონ სოფლის მასწავლებელთა სწორე აღნუსხვა და თავის დროზე წარუდგინონ საგამწვეო კომისიებს აღნიშნულ პირთა სიები გაწვევის ვადის გადადების გასაფორმებლად;

დ) მოაწყონ მუდმივი შესაკრები პუნქტების სადგომებთან თავშესაფარი ან შემოღობილი ადგილი დახურული ფარდულებით გაწვეულთა გამოცხადებისათვის და მიღებულთაგან კომანდების შედგენისათვის ჯარის ერთეულში გასაგზავნად.

ბ. ყველა სახალხო კომისარიატმა, საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ თავის დროზე უნდა წარადგინოს განცხადება, რათა გაწვევის ვადა გადაიდოს იმ სპეციალისტებს, რომელთა შეცვლაც შეუძლებელია და რომელთა გაწვევასაც მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში შეუძლიან არახელსაყრელი გავლენა მოახდინოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე; ამასთანავე აღნიშნულმა ორგანოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ მომდინარე წლის ივლისის 1-დან ყველა დაგვიანებული განცხადება საგამწვეო კომისიებისა და კავკასიის წითელდროშიანი არმიის შტაბის მიერ უარყოფილ იქნება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრულებელი **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. აპრილის 5.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 98 №-ში 1930 წ. აპრილის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

90. ხე-ტყისა და შეშის დამზადებისა და მერქნის ჩამოტივტივების საქმეში წარმოებული მუშაობის ჩაშლასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

რათა ხელი შეეწყოს ხე-ტყისა და შეშის დამზადებისა და მერქნის ჩამოტივტივების, გეგმის დაუცადებელ აღსრულებას და რათა უზრუნველოფილ იქნეს ხე-ტყის დამმზადებელი არტელების მუშების თუ წევრების მიერ ,ხე-ტყისა და შეშის დამმზადებელ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება,— ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ხე-ტყის დამმზადებელი ან წყალსატივტივო სამუშაოთა არტელის მუშა თუ წევრი, რომელიც ხე-ტყის და შეშის დასამზადებლად ან წყალსატივტივოდ წარმოებულ სამუშაოოდან წავა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე ან ხელშეკრულებით შეპირებული დავალების აღსრულებამდე, ვალდებულია დაუბრუნოს დამქირავებელ ორგანოს მიღებული ავანსი, რის ღირებულების სამუშაოც მას არ შეუსრულებია და აუნაზღაუროს ამ ორგანოს გზის ფული და მიღებული სპეცტანისამოსი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული თანხების გადახდევინება სწარმოებს სააღსრულებო წარწერის მიღების წესით.

3. უკეთუ მომუშავე ამა თუ იმ დამქირავებლის სამუშაოდან წასვლის შემდეგ სხვა სამუშაოზე გადავა, გადახდევინება სააღსრულებო წარწერის საფუძველზე სწარმოებს ახალი დამქირავებლის მიერ, რისთვისაც იგი დაუქერს მომუშავეს სამუშაო ხელფასის არა უმეტეს, ვიდრე 50 პროცენტს, სახელმწიფო მინიმუმის გამოკლებით. ხოლო, უკეთუ მომუშავის სამყოფელი ადგილი გამორკვეული არ არის, გადახდევინება მოხდება მომუშავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს ერთი თვის ვადაზე შეუთანხმონ თავისი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აპრილის 8.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

91. წყალთა ადგილობრივი ადმინისტრაციების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოებისათვის დაქვემდებარების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. წყალთა მეურნეობის საოლქო სამმართველოები.

1. წყალთა ოლქების არსებული სისტემის ნაცვლად მოეწყობა წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველოები, რომელნიც მოქმედობენ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე და ექვემდებარებიან საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს.

შენიშვნა დებულებას წყალთა ადგილობრივი ადმინისტრაციების შესახებ გამოსცემენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოები.

2. წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველოები მოეწყობა სათანადო საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ტერიტორიაზე.

შენიშვნა 1. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სარწყავი სისტემის მთლიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია, რომ წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველოს საზღვრები გაფართოებულ იქნეს და გასცილდეს ერთი ან რამდენიმე ადმინისტრატიული ოლქის (მაზრის) ტერიტორიას ერთი რესპუბლიკის ფარგლებში—საჭიროა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარდგენით, და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, ამიერკავკასიის მეგამბეობის კომიტეტის წარდგენით—როდესაც წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველოს საზღვრები რესპუბლიკის ფარგლებს უნდა გასცილდეს.

შენიშვნა 2. საოლქთაშორისო (სამაზრათაშორისო) და სარესპუბლიკათაშორისო სისტემებზე მოეწყობა სისტემების განსაკუთრებული სამმართველოები, რომელნიც სათანადოდ ექვემდებარებიან წყალთა მეურნეობის რესპუბლიკანურ სამმართველოებს და ამიერკავკასიის მეგამბეობის კომიტეტს და მოქმედობენ მათ შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

3. წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველო ექვემდებარება სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს და ტერიტორიალურად იმყოფება საოლქო ან სამაზრო ცენტრში.

შენიშვნა. გამონაკლისის სახით, საოლქო (სამაზრო) წყალთა მეურნეობისათვის უკეთესი მომსახურეობის გაწევის მიზნით, წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამართველო შეიძლება მოთავსებულ იქნეს საოლქო და სამაზრო ცენტრის გარეშე, რისთვისაც თვითეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის (სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის) განსაკუთრებული ნებართვა რესპუბლიკური წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენით.

4. საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი (სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი), წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამართველოს მეშვეობით, განახორციელებს წყალთა მეურნეობის ადმინისტრირებას ადგილობრივ; სარწყავი სისტემის ექსპლოატაციის მხრით იგი თვალყურს ადევნებს: 1) რათა სარწყავი სისტემის მიმდინარე რემონტი თავის დროზე სწარმოებდეს; 2) რათა წყალი თავის დროზე იქნეს გაშვებული; 3) რათა წყალნაკლებობის პერიოდში სარწყავი წყალი პირველ რიგში მიეწოდოს საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და სხვა სახის კოლექტიურ მიწათსარგებლობას და აგრეთვე ბაშბის ნათესს და სხვა წასახალისებელ კულტურებს; 4) რათა წყალთა ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა მოქმედება სათანადო იყოს და მისცეს დასაკვნა როგორც ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობისა, ისე არსებული სისტემების ნაწილობრივი გაუმჯობესებისა და ძირითადი რეკონსტრუქციის პროექტების აღსრულების ვადების შესახებ და 5) რათა განხორციელებულ იქნეს წყლის განაწილება კლასიური პრინციპის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებათა თანახმად.

5. წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამართველო, რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამართველოს მიერ დადგენილ ვადაზე და ამ უკანასკნელის დავალებათა თანახმად, შეადგენს ოლქის (მაზრის) წყალსამეურნეო სამუშაოთა გეგმას (საპერსპექტივოს და საოპერაციოს) და წინასწარ წარუდგნს მას საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად და შესათანხმებლად.

სამუშაოთა შეთანხმებული გეგმები, გარდა მე-6 მუხლში აღნიშნულისა, წარედგინება რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს სამუშაოთა ერთიანი წყალსამეურნეო გეგმის შესადგენად.

პირველი რიგის მუშაობა როგორც ახალი სისტემის მშენებლობისა, ისე არსებული სისტემის რეკონსტრუქციის დარგში სწარმოებს რესპუბლიკანური გეგმის თანახმად. წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამართველო პერიოდულად გააკეთებს ხოლმე მოხსენებას საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში საგეგმო კამპანიის მომზადებისა და მისი მსვლეობის შესახებ.

6. წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველო წარუდგენს დასამტკიცებლად საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს ცალკეულ წყალსამეურნეო სამუშაოთა კალენდარულ გეგმებს საოპერაციო გეგმის მიხედვით,

კერძოდ, სარწყავი სისტემის მიმდინარე რემონტისა და წყალდიდობასა და ნიაღვართან ბრძოლის საქმეში წყალსამეურნეო ბეგრის განნორიელების გეგმას და შეუთანხმებს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს წყალბრუნვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

7. წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველო პერიოდულად წარუდგენს ხოლმე ინფორმაციას საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ოლქში (მაზრაში) სარწყავი კამპანიის მომზადებისა და გატარებისათვის წარმოებული შუშაობის მსვლელობისა, სარწყავი სისტემების მგომარებისა, სამართლის დარღვევისა, სამშენებლო, სალმდგენო, სარემონტო და სხვა წყალსამეურნეო მუშაობის მსვლელობის და აგრეთვე ყველა აღნიშნული მუშაობის დაფინანსების შესახებ, ხოლო საოპერაციო წლის ბოლოს წარუდგენს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს დაწვრილებითს მოხსენებას წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველოს წარსული წლის მოქმედების შესახებ და აგრეთვე ცალკეულ საირიგაციო სამუშაოთა საოპერაციო გეგმისა და ზემდგომი ორგანოების დირექტივებისა და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების აღსრულების შესახებ; თანაც უნდა აღნიშნოს მომავალი წლის პერსპექტივები დასკვნებითა და პრაქტიკული ღონისძიებებით; იმავე დროს ზემოაღნიშნული საინფორმაციო და წლიური ანგარიშები უნდა წარუდგინოს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

8. წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამართველოს უფროსს და მის მოადგილეს დანიშნავს სათანადო რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველო და უკეთუ—საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტი ერთი თვის განმავლობაში არ მოითხოვს მათ ჩამოცილებას—ისინი დამტკიცებულ იქნებიან თანამდებობაზე.

9. წყალთა ოლქებთან არსებული წყალთა საბჭოები გაუქმებულ უნდა იქნეს და მათ მაგიერ მოეწყოს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტების საირიგაციო სექციები ოთხი წევრის შედგენილობით და წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით; სექციები მოქმედობენ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

II. წყალთა რაიონები.

10. რათა წყალთა ოლქების შედგენილობაში შემავალი წყალთა რაიონების საზღვრები უფრო მიუახლოვდეს რაიონების ახლად დადგენილ ადმინისტრატიულ საზღვრებს, რათა აგროტეხნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი უფრო დაუკავშიროს საირიგაციო ღონისძიებებს და რათა წყალთა ქვედა ადმინისტრაცია დაექვემდებაროს აღმასრულებელ კომიტეტებს,—არსებული წყალთა რაიონები გაუქმებულ იქნეს. წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამართველო დაიყოფა წყალთა რაიონებად, რომელნიც ტერიტორიალურად თანამთხვევნი იქნებიან რაიონების ახალ ადმინისტრატიული საზღვრებისა.

შენიშვნა. წყალთა რაიონი, მისი რაციონალურად მართვა-გამგებლობის მიზნით, განაწილდება ცალკეულ უბნებად წყალთა ნიშნების მიხედ-

ვით (სამერაბო), რომელთა სათავეშიაც სდგანან მერაბები; მერაბს დანიშნავს ჰიდროტეხნიკოსი სარაიონო, აღმასრულებელი კომიტეტთან შეთანხმებით, და იგი მოქმედობს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

11. წყალთა რაიონის სათავეში სდგას რაიონის ჰიდროტეხნიკოსი, რომელიც ექვემდებარება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

12. რაიონის ჰიდროტეხნიკოსს დანიშნავს წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველო და, უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ერთი თვის განმავლობაში არ მოითხოვს მის ჩამოცილებას, იგი დამტკიცებულ იქნება თანამდებობაზე.

შენიშვნა. უკეთუ ერთი სისტემა მომსახურებას უწევევს ერთს ან რამდენსმე წყალთა რაიონს, დაწესებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული თანამდებობა სისტემის ჰიდროტეხნიკოსისა, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

13. რაიონის ჰიდროტეხნიკოსი,—წყალთა მეურნეობის საოლქო სამმართველოს საერთო წყალსამეურნეო გეგმის საფუძველზე და ამ სამმართველოს დავალების მიხედვით,—შეადგენს წყალსამეურნეო სამუშაოთა გეგმებს (საპერსპექტივოს და საოპერაციოს), წარუდგენს მათ განსახილველად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და ამ უკანასკნელის დასკვნითურთ გაუგზავნის წყალთა მეურნეობის საოლქო (სამაზრო) სამმართველოს დადგენილ ვადაზე.

14. რაიონის ჰიდროტეხნიკოსი შეიმუშავებს ცალკეულ წყალსამეურნეო სამუშაოთა შესრულების საკალენდრო გეგმებს, კერძოდ, შეიმუშავებს არსებული სისტემების რემონტისათვის და წყალდიდობასთან და ნიაღვართან ბრძოლისათვის წყლის მოსარგებლეთა წყალსამეურნეო ბეგარაზე გაწევევის გეგმას, შეუდგენს წყლის განაწილების გეგმებს და წყალთა მეურნეობის საოლქო სამართველოს მიერ დამტკიცების შემდეგ წარუდგენს მათ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს განსახორციელებლად.

15. რაიონის ჰიდროტეხნიკოსი პერიოდულად წარუდგენს ხოლმე ინფორმაციას სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს რაიონში რწყვის კამპანიის მომზადებისა და გატარებისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობისა, სარწყავი სისტემის მდგომარეობისა, სამართლის დარღვევისა და სხვ. შესახებ, ხოლო საოპერაციო წლის ბოლოს წარადგენს სრულ ანგარიშს თავისი მოქმედებისა, წყალთა მეურნეობის მდგომარეობისა, წარსული წლის მიღწევებისა და მომავალი წლის პერსპექტივების შესახებ სათანადო დასკვნებით და პრაქტიკული ღონისძიებებით.

16. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, სამუშაოთა დამტკიცებული საოპერაციო და საკალენდრო გეგმების ფარგლებში, ხელს შეუწყობს რაიონში წყალსამეურნეო ღონისძიებათა წარმატებით აღსრულებას. გადასაზიდ საშუალებათა შოვნას და მუშაობის წარმოების ადგილას ადგილობრივი საშენი მასალისა და ადგილობრივ სახმარებელი იარაღების მიზიდვას და თვალყურს ადევნებს ყოველივე ამის აღსრულებას.

17. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, რაიონის ჰიდროტეხნიკოსის მეშვობით, თვალყურს ადევნებს რაიონში წყლის სათანადო განაწილებას და,

ჰიდროტეხნიკოსის შუამდგომლობით, მიიღებს საჭირო ღონისძიებას წყალთა სარგებლობის დარღვეული წესის აღსადგენად და მის დასაცავად და პასუხს აგებს წყლის განაწილების საკითხების შესახებ გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებების განხორციელებისათვის კოლაბორაციო ნიშნის მიხედვით; თანაც აცნობებს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს წყლის ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა მიერ წყალსამეურნეო პოლიტიკის გამრუდების ყველა შემთხვევას

18. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, დამტკიცებული საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვის თანახმად, განახორციელებს ყველა იმ წყალსამეურნეო ღონისძიებათა დაფინანსებას, რაც წყლის გამოსაღების სახსარით სრულდება და ამავე დროს იზრუნებს, რათა რაიონის ჰიდროტეხნიკოსს თავის დროზე მიეცეს საჭირო თანხები, ვიდრე წყლის გამოსაღები შემოვიდოდეს.

19. შეუთანხმებლობა, რაც აღიძვრის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტსა და რაიონის ჰიდროტეხნიკოსს შორის წყალსამეურნეო ღონისძიებათა საოპერატივო გეგმის პრაქტიკული განხორციელების საკითხების გამო, გადაეცემა გადასაწყვეტად საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს; ამასთანავე, კონფლიქტის გადაწყვეტამდე წყალსამეურნეო მუშაობის შესრულება არ შეჩერდება.

20. რაიონის ფარგლებში წყალთა განაწილებისა და წყალთა სარგებლობის ნიადაგზე აღძრული დავა გადაწყდება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ რომელთანაც მოეწყობა სექცია; სექციის შედგენილობაში შევლენ: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, რაიონის ჰიდროტეხნიკოსი და წყალმოსარგებლეთა სამი წარმომადგენელი.

III. სოფლის საჯუვაროს.

21. ქვედა წყალსამეურნეო ერთეული ადგილობრივ არის სოფლის საჯუვარო, რომელიც თავის საზღვრებით თანამთხვევია სასოფლო საბჭოს ადმინისტრატიული საზღვრებისა.

22. სოფლის საჯუვაროს სათავეში სდგას სოფლის ჯუვარი, რომელიც ექვემდებარება სასოფლო საბჭოს და მომსახურეობას უწევს საჯუვაროს, სასოფლო საბჭოს დირექტივების თანახმად და რაიონის ჰიდროტეხნიკოსის დავალებისა და სოფლის ჯუვარების შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დებულების შესაბამისად.

23. სოფლის ჯუვარს ყოველწლიურად, ვიდრე საზაფხულო თუ საზამთრო კულტურების მორწყვა დაიწყებოდეს, უნდა ჰქონდეს წყალმოსარგებლეთა სახელობითი სიები; ეს სიები მან უნდა წარუდგინოს სასოფლო საბჭოს და, ამ უკანასკნელის დირექტივის თანახმად, უნდა გაანაწილოს წყალმოსარგებლენი კლასობრივი პრინციპის მიხედვით.

24. სოფლის ჯუვარი, რაიონის ჰიდროტეხნიკოსის ან მერაბის საინსტრუქციო დირექტივების თანახმად, შეუთანხმებს სასოფლო საბჭოს წყალმოსარგებლეთა შორი, წყალსამეურნეო საზოგადოებრივი ბეგარის მიხედვით, მუშაობის განაწილების გეგმას, გამოიყენებს სასოფლო საბჭოს დირექტივებს საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობის მუშა-ძალისა, სატრანსპორტო საშუალებებისა, ინსტრუმენტებისა და ადგილობრივი საშენი მასალის განწესის შედგენის დროს და მიმართავს, სასოფლო საბჭოს მეშვეობით, ადმინისტრატიული ზეგავლენის ღონისძიებას იმ წყალმოსარგებლეთა მიმართ, რომელნიც წყალსამეურნეო ბეგარას თავს აარიდებენ.

25. სოფლის ჯუვარს დანიშნავს სასოფლო საბჭო, ჰიდროტეხნიკოსთან შეთანხმებით, ღარიბ წყალმოსარგებლეთაგან, რომელთაც იციან სოფლისშიგნითი წყალგანაწილება.

26. რწყვის პერიოდის დამთავრებისას სასოფლო საბჭო მოიწვევს წყალმოსარგებლეთა საერთო კრებას, რომელსაც სოფლის ჯუვარი წარუდგენს ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ.

27. რათა ადმინისტრატიულმა ორგანოებმა უკეთესი მომსახურეობა გაუწიონ სპეციალურად წყალთა მეურნეობის საქმეს, სასოფლო საბჭოსთან მოეწყობა წყალთა სექცია, რომელიც დაექვემდებარება სასოფლო საბჭოს და იმოქმედებს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

28. წყალთასარგებლობა აგრო-ინდუსტრიალური კომბინატებისა, სასოფელთშორისო სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში მოწესრიგდება განსაკუთრებული დებულებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. აპრილის 8.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

92. ა/კსფსრ-ში იმ საზოგადოებათა და კავშირთა დაარსებისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ საზოგადოებისა და კავშირის წესდება, რომელიც მოგებას არ მისდევს და რომლის მოქმედებაც ვრცელდება მთლად ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის კანონმდებლობის წესისამებრ, რომლის ტერიტორიაზედაც იქნება საზოგადოების თუ კავშირის გამგეობის სამყოფელი ადგილი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანიზაციების მოქმედების დასაწყებად ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დამტკიცებული წესდება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის წესისამებრ.

3. უკეთუ საზოგადოება ან კავშირი დაარღვევს სსრ კავშირისა, ა/კსფსრ-ისა ან ამა თუ იმ რესპუბლიკის კანონმდებლობას, ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს შეუძლიანთ მოსპონ ამ საზოგადოებისა ნ კავშირის მოქმედება ა/კსფსრ-ისა თუ ცალკეული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რაც იმავე დროს უნდა აცნობონ იმ ორგანოს, რომელმაც წესდება დაამტკიცა.

დადგენილება საზოგადოებისა თუ კავშირის ლიკვიდაციის შესახებ, რასაც გამოიტანს ა/კსფსრ-ის სათანადო ორგანო ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის ორგანო, რომლის ტერიტორიაზედაც საზოგადოების თუ კავშირის გამგეობა იმყოფება, გავრცელდება მთლად სსრ კავშირის ტერიტორიაზე, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის იანვრის 6-ის ანალოგიური დადგენილების თანახმად (სსრ კავშირის კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-ი, მუხ. 76).

4. იმ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებული წესდების შეცვლა, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, სწარმოებს ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. აპრილის 8.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

93. „საბავშვო ბაგათა, საბავშვო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა მიერ მუშა-ქალების ბავშვებისათვის გასაწევი მომსახურეობის გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საბავშვო ბაგათა, საბავშვო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა მიერ მუშა-ქალების ბავშვებისათვის გასაწევი მომსახურეობის გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 20 №-ი, მუხ. 236 და 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 8) მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 2. დაწესებულ იქნეს, რომ მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის, არსებული წესისამებრ, განაწილების დროს იმ საწარმოსა და ორგანიზაციაში, სადაც შემოღებულია ქალთა შრომა, საბავშვო ბაგათა, საბავშვო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა მშენებლობისა და შენახვისათვის გამოყოფილ უნდა იქნეს სათანადო ფონდის საერთო თანხის 5-დან 10 პროცენტამდე საწარმოში მომუშავე ქალთა რიცხვის ამ საწარმოს მომუშაველთა საერთო რიცხვთან შეფარდების მიხედვით, სახელდობრ: ა) 5%-მდე, როდესაც ქალთა რიცხვი არის 20%-დე ამიანად; ბ) 8%, როდესაც ქალთა რიცხვი არის 21-დან 50%-მდე და გ) 10%, როდესაც ქალთა რიცხვი 50%-ს აღემატება“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის დავმჯდომარე **ს. ქასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. აპრილის 8.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 236 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

94. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა მოქმედების განვითარებისათვის ხელის შემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ყოველგვარად ხელი შეუწყონ წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი საზოგადოებების მიერ თავისი ფილიალების დაარსებას და აგრეთვე ამ საზოგადოებებისა და მათი ორგანოების მოქმედების განვითარებას.

2. ნება მიეცეს სსრ კავშირის წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა კავშირს და მის მიერ გაერთიანებულ საზოგადოებებს ჩაატარონ ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყოველწლიურად ივლისის 1-დან 7-მდე „წყალში დაღუპვისაგან გადარჩენის კვირა“ ფულის ნებაყოფლობითი შეგროვებით და სანაბაობებისა, მოხსენებებისა და ლექციების მოწყობით ამ საზოგადოებათა სახსარის გასაძლიერებლად.

3. მიენიჭოს წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათ ა/კსფსრ-ში ზღვაზე და შინა-წყალსავალ გზებზე ნავთგამქირავებელი ნავთსაყუდებისა, წყალგადასასვლელებისა, ბორნებისა, საბანაოებისა და პლაჟების შენახვისა, იჯარით აღებისა და ექსპლოატაციის უპირატესი უფლება ყველა სხვა დაწესებულებასა, ორგანიზაციასა და პირთან შედარებით, და განთავისუფლებულ აქნენ ეს საზოგადოებანი იმ მიწისა და წყლის ნაკვეთების საიჯარო ქირისაგან, რასაც ისინი გამოიყენებენ წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი პუნქტებისა, ცურვის სკოლებისა და ზემოხსენებულ საწარმოთა მოსაწყობად.

4. განთავისუფლებულ იქნენ სსრკ-ის წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა კავშირი, მის მიერ გაერთიანებული საზოგადოებანი და მათი საწარმონი სასამართლო გამოსაღებისა და ბაჟისაგან და აგრეთვე იმ აქტების სანოტარო გამოსაღებისაგან, რომელთა სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაანთავისუფლოს სსრკ-ის წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა კავშირისა და მის მიერ გაერთიანებული საზოგადოებების წარმოებითი საწარმონი, რომელნიც უშუალო მომსახურეობას უწევენ ამ ორგანიზაციათა საჭიროებას, და აგრეთვე საბანაოები, რომელთაც უშუალოდ ეს ორგანიზაციები ინახავენ იჯარით გაუცემლად, სახელმწიფო სარეწაო და საშემოსავლო გადასახადისაგან —სახელმწიფო სარეწაო გადასახადის დებულების 41 მუხლისა და სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების 16 მუხლის წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეიტანონ აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამა დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრულებელი **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. აპრილის 8.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

95. ქალაქის სოფელთან დაკავშირების საზოგადოებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

1. ქალაქის სოფელთან დაკავშირების საზოგადოების მიერ საშეფო სოფლებში მიმდინარე მუშაობისათვის გაგზავნილ მუშებს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა შეუნარჩუნონ სამუშაო ხელფასი ვადით არა უმეტეს ხუთი დღისა.

2. განთავისუფლებულ იქნენ სარეწაო და ადგილობრივი გადასახადისაგან ის სავაჭრო და სამეწველო საწარმონი, რომელთა ექსპლოატაციასაც ეწევა ქალაქის სოფელთან დაკავშირების საზოგადოება იჯარით გაუცემლად.

3. დაევალოს სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებთანაც არსებობს საშეფო საზოგადოების ცალკეული უჯრედები, მისცენ ხოლმე ამ უჯრედებს პერიოდულად საკუთარი სამიმოსვლო საშუალებანი.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინიგზის გამგეობასთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირს დააწესოს მთლად ამიერკავკასიის რკინისგზის მანძილზე შეღავათიანი სამგზავრო ტარიფი ქალაქის სოფელთან დაკავშირების საზოგადოების მიერ საშეფო მუშაობის საწარმოებლად სოფლად გაგზავნილი მუშებისათვის რიცხვით სამი ათას კაცამდე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აპრილის 8.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება №235 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

96. „რკინისგზით და წყლის ტრანსპორტით პურეული ტვირთის გადაზიდვის ეკონომიურადმო წესრიგების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ოქტომბრის 18-ის დადგენილების მოქმედების შეჩერების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„რკინისგზით და წყლის ტრანსპორტით პურეული ტვირთის გადაზიდვის ეკონომიურად მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ოქტომბრის 18-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 20 №-ი, მუხ. 195) მოქმედება შეჩერებულ იქნეს მთავრობის განსაკუთრებულ დადგენილებამდე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრულებელი **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. აპრილის 11.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 96 №-ში 1930 წ. აპრილის 13-ს.

დადგენილება № 49 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

97. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში დროებით სამუშაოდ გაგზავნილ მოანგარიშე-მომუშავეების შეღავათების შესახებ.

მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში დროებით სამუშაოდ გაგზავნილ მომუშავეთა უფლებრივი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

მოანგარიშე-მომუშავეს, რომელსაც პროფესიონალური ორგანიზაცია გაგზავნის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში დროებით სამუშაოდ, სამუშაო ხელფასი და აგრეთვე დღიური, საბინაო და საგზაო ფული მიეცემა იმ დაწესებულების თუ საწარმოს მიერ, სადაც მივლინებული მუდმივად მუშაობდა.

სამუშაო ხელფასი მიცემულ უნდა იქნეს მივლინებულის უკანასკნელი ჯამაგირის რაოდენობით, დღიური—თვიური ჯამაგირის ერთი მესამოცეული ნაწილის რაოდენობით, ბინის ფული—2 მანეთის რაოდენობით დღეღამეში (უკეთუ მივლინებულს ბინა ნატურად არ მიეცა) და საგზაო ფული—ნამდვილი ღირებულების რადენობით.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **შახსუვარიანი.**
საგეგმო-საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი **ფარჯანაძე.**

შეთანხმებულია ამიერკავკასიის პროფ.
კავშირთა საბჭოსთან **ხოჯამიროვი.**

1930 წ. აპრილის 10.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 96 №-ში 1930 წ. აპრილის 13-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 1.019. ტირაჟი 850.